**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის**

**ბრძანება ************

**__/__/_____**

**ქ. თბილისი**

# ,,ავტორიზებული აფთიაქის, ფარმაცევტული წარმოებისა და ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის სანებართვო მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 7 დეკემბრის №01-49/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„ავტორიზებული აფთიაქის, ფარმაცევტული წარმოებისა და ფარმაკოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის სანებართვო მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 7 დეკემბრის №01-49/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 10/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 470060000.22.035.016557) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **ბრძანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 1. დამტკიცდეს თანდართული ,,ავტორიზებული აფთიაქის სანებართვო მოწმობა“ (დანართი №1); ,,ავტორიზებული აფთიაქის სანებართვო მოწმობის დანართი“ (დანართი №2); ,,ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის სანებართვო მოწმობა“ (დანართი №3); ,,ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის სანებართვო მოწმობის დანართი“ (დანართი №4); ფარმაცევტული წარმოების (სამკურნალო საშუალებებისა, გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) სანებართვო მოწმობა“ (დანართი 5); ფარმაცევტული წარმოების (სამკურნალო საშუალებებისა, გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) სანებართვო მოწმობის დანართი“ (დანართი 6).“.

2. **ბრძანების N1 და N2 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**

3. **ბრძანებას დაემატოს N5 და N6 დანართები თანდართული რედაქციით.**

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.